



DIE PRÜFUNGEN DES GOETHE-INSTITUTS

გოეთეს ინსტიტუტის
გამოცდები

PRÜFUNGSORDNUNG

გამოცდის დებულება

Stand: 1. September 2020

2020 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

Zertifiziert durch

სერტიფიცირებულია



**GOETHE
INSTITUT**

Sprache. Kultur. Deutschland.

Prüfungsordnung des Goethe-Instituts e.V.

Stand: 1. September 2020

Die Prüfungen des Goethe-Instituts sind zum Nachweis von Sprachkenntnissen in Deutsch als Fremdsprache und Deutsch als Zweitsprache konzipiert und werden an den in § 2 dieser *Prüfungsordnung* genannten Prüfungszentren weltweit nach einheitlichen Bestimmungen durchgeführt und bewertet.

§ 1 Grundlagen der Prüfung

Diese *Prüfungsordnung* ist für alle unter § 3 genannten Prüfungen des Goethe-Instituts gültig. Es gilt die jeweils zum Zeitpunkt der Anmeldung aktuelle Fassung.

Das Goethe-Institut publiziert zu jeder Prüfung einen *Modellsatz* sowie einen oder mehrere *Übungssätze*, die für alle Prüfungsinteressierten im Internet einsehbar und zugänglich sind. Gültig ist jeweils die zuletzt veröffentlichte Fassung.

In diesen *Modell-* bzw. *Übungssätzen* zu den einzelnen Prüfungen sind Aufbau, Inhalt und Bewertung verbindlich beschrieben.

Einzelheiten zu den Prüfungen sind den jeweiligen, in ihrer aktuellen Fassung im Internet veröffentlichten *Durchführungsbestimmungen* zu entnehmen. Diese Bestimmungen sind rechtsverbindlich.

Module, die einzeln oder in Kombination abgelegt werden können, werden im Folgenden ebenso Prüfung bzw. Prüfungsteile genannt. Details hierzu finden sich in den jeweiligen *Durchführungsbestimmungen*.

Abhängig vom Prüfungsangebot und den Voraussetzungen am Prüfungszentrum können ausgewählte GOETHE-ZERTIFIKATE papierbasiert und/oder digital abgelegt werden. Prüfungsaufbau, Inhalt und Bewertung sind im Print- und Digitalformat identisch. Besondere Regelungen und Hinweise zu den digitalen Deutschprüfungen, die von den *Durchführungsbestimmungen* für papierbasierte Deutschprüfungen abweichen, sind im Anhang der jeweiligen *Durchführungsbestimmungen* beschrieben.

გოეთეს ინსტიტუტის გამოცდის დებულება

2020 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით

გოეთეს ინსტიტუტის გამოცდები გერმანულის, როგორც უცხო ენის, ან მეორე ენის ცოდნის დასტურია. მათი ჩაბარება შესაძლებელია გამოცდის დებულების § 2 ნახსენებ საგამოცდო ცენტრებში, სადაც მათი ჩაბარება და შეფასება მსოფლიოს მასშტაბით ერთიანი სტანდარტებით ხდება.

§ 1 გამოცდის საფუძვლები

წინამდებარე გამოცდის დებულება ვრცელდება §3--ში ნახსენებ გოეთეს ინსტიტუტის ყველა გამოცდაზე. ძალაშია რეგისტრაციის დროს არსებული აქტუალური რედაქცია.

გოეთეს ინსტიტუტი ყოველი გამოცდის მასალის ერთ სამოდულო და რამდენიმე სავარჯიშო ნიმუშს აქვეყნებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ინტერნეტში. ძალაშია ბოლოს გამოქვეყნებული უახლესი რედაქცია. ზემოთ ნახსენებ სამოდულო, თუ სავარჯიშო საგამოცდო ნიმუშებში დეტალურად არის ნაჩვენები გამოცდის ცალკეული ნაწილის აგებულება, შინაარსი და შეფასების კრიტერიუმები.

უფრო ვრცელი ინფორმაცია ცალკეულ გამოცდასთან დაკავშირებით იხილეთ ინტერნეტში გამოქვეყნებულ, გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციის უახლეს ვერსიაში. მოდულები, რომელთა ჩაბარებაც სათითაოდ ან კომბინირებულადაა შესაძლებელი, შემდგომში მოიხსენიება, ასევე, როგორც გამოცდა ან გამოცდის ცალკეული ნაწილი. დეტალები ამის შესახებ იხილეთ გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციაში.

შემოთავაზებული გამოცდებისა და საგამოცდო ცენტრის პირობების გათვალისწინებით გოეთეს ინსტიტუტის შერჩეული სასერტიფიკატო გამოცდები შესაძლოა ჩაბარდეს ნაბეჭდი ან ციფრული ფორმატით. გამოცდის სტრუქტურა, შინაარსი და შეფასება როგორც ნაბეჭდი, ასევე ციფრული ფორმატის შემთხვევაში იდენტურია. გერმანული ენის ციფრული ფორმატის გამოცდებისთვის დადგენილი წესები და მითითებები რომლებიც გამოცდის წერთი ფორმატის გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციისგან განსხვავდება, აღწერილია შესაბამისი გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციის დანართში.

Für Prüfungsteilnehmende mit spezifischem Bedarf sind Sonderregelungen möglich, sofern der spezifische Bedarf bereits bei der Anmeldung durch einen geeigneten Nachweis belegt wird.

Siehe hierzu die *Ergänzungen zu den Durchführungsbestimmungen: Prüfungsteilnehmende mit spezifischem Bedarf*.

§ 2 Prüfungszentren des Goethe-Instituts

Die Prüfungen des Goethe-Instituts werden durchgeführt von:

- Goethe-Instituten in Deutschland und im Ausland,
- Goethe-Zentren im Ausland
- sowie den Prüfungskooperationspartnern des Goethe-Instituts in Deutschland und im Ausland.

§ 3 Teilnahmevoraussetzungen

§ 3.1 Die Prüfungen des Goethe-Instituts können von allen Prüfungsinteressierten mit Ausnahme von § 3.3 bis § 3.6 unabhängig vom Erreichen eines Mindestalters und unabhängig vom Besitz der deutschen Staatsangehörigkeit abgelegt werden.

Es werden bezüglich des Alters der Prüfungsteilnehmenden folgende Empfehlungen gegeben:

Prüfungen für Jugendliche (ab 10 Jahren):

- GOETHE-ZERTIFIKAT A1: FIT IN DEUTSCH 1

Prüfungen für Jugendliche (ab 12 Jahren):

- GOETHE-ZERTIFIKAT A2 FIT IN DEUTSCH
- GOETHE-ZERTIFIKAT B1

Prüfung für Jugendliche (ab 15 Jahren):

- GOETHE-ZERTIFIKAT B2

Prüfungen für Erwachsene (ab 16 Jahren):

- GOETHE-ZERTIFIKAT A1: START DEUTSCH 1
- GOETHE-ZERTIFIKAT A2
- GOETHE-ZERTIFIKAT B1
- GOETHE-ZERTIFIKAT B2
- GOETHE-ZERTIFIKAT C1
- GOETHE-ZERTIFIKAT C1 (modular ab 2022)

სპეციალური საჭიროების მქონე გამოცდის მონაწილეებმა შესაძლებელია ისარგებლონ განსაკუთრებული პირობებით, საგამოცდო რეგისტრაციის დროს, საგანგებო საჭიროების ცნობის წარდგენის შემთხვევაში. იხილეთ გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციის დანართი: სპეციალური საჭიროების მქონე გამოცდის მონაწილეები

§ 2 გოეთეს ინსტიტუტის საგამოცდო ცენტრები

გოეთეს ინსტიტუტის გამოცდები ტარდება შემდეგ ორგანიზაციების მიერ:

- გოეთეს ინსტიტუტები გერმანიასა და უცხოეთში
- გოეთეს ცენტრები უცხოეთში
- ასევე გოეთეს ინსტიტუტის საგამოცდო კოოპერაციის პარტნიორები გერმანიასა და უცხოეთში

§ 3 გამოცდაში მონაწილეობის პირობები

§ 3.1 გოეთეს ინსტიტუტის გამოცდის ჩაბარება ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, განურჩევლად ასაკისა და მოქალაქეობისა. გამონაკლისს წარმოადგენს §3.3-დან § 3.6-მდე დადგენილი პირობები გამოცდის მონაწილეთა ასაკთან დაკავშირებით მოცემულია შემდეგი რეკომენდაციები:

გამოცდები მოზარდებისათვის (10 წლიდან)

- Goethe-Zertifikat A1: Fit in Deutsch 1

გამოცდა მოზარდებისათვის (12 წლიდან)

- GOETHE ZERTIFIKAT A2 FIT IN DEUTSCH
- GOETHE ZERTIFIKAT B1

გამოცდა მოზარდებისათვის (15 წლიდან)

- GOETHE ZERTIFIKAT B2

გამოცდა ზრდასრულებისათვის (16 წლიდან)

- Goethe-Zertifikat A1: Start Deutsch 1
- Goethe-Zertifikat A2
- Goethe-Zertifikat B1
- Goethe-Zertifikat B2
- Goethe-Zertifikat C1
- GOETHE-ZERTIFIKAT C1 (მოდულარული 2022-დან)

Prüfung für Erwachsene (ab 18 Jahren):

- GOETHE-ZERTIFIKAT C2: GROSSES DEUTSCHES SPRACHDIPLOM

Für Prüfungsteilnehmende, die vor Erreichen des empfohlenen Alters oder erheblich abweichend vom empfohlenen Alter die Prüfung ablegen, ist ein Einspruch gegen das Prüfungsergebnis aus Altersgründen z. B. wegen nicht altersgerechter Themen der Prüfung o. Ä. ausgeschlossen. Die Prüfungsteilnahme ist weder an den Besuch eines bestimmten Sprachkurses noch an den Erwerb eines Zertifikats auf einer darunterliegenden Stufe gebunden.

§ 3.2 Personen, die eine Prüfung bzw. einen Prüfungsteil oder ein Modul nicht bestanden haben, sind bis zum Ablauf der vom jeweils zuständigen Prüfungszentrum für einen wiederholten Prüfungstermin bestimmten Fristen von der Prüfungsteilnahme ausgeschlossen (vgl. § 15).

§ 3.3 Personen, die Zeugnisse des Goethe-Instituts gefälscht haben oder ein gefälschtes Zeugnis bzw. manipulierte Screenshots der Prüfungsergebnisanzeige auf *Mein Goethe.de* vorlegen, sind für die Dauer von einem (1) Jahr ab Kenntniserlangung des Goethe-Instituts von der Fälschung von der Prüfungsteilnahme ausgeschlossen. Diese Sperrfrist von einem (1) Jahr gilt weltweit für die Prüfungsteilnahme sowohl an Goethe-Instituten als auch bei Prüfungskooperationspartnern des Goethe-Instituts.

§ 3.4 Personen, die Prüfungsinhalte an Dritte weitergegeben haben, werden für die Dauer von einem (1) Jahr ab Kenntniserlangung des Goethe-Instituts von der Prüfungsteilnahme ausgeschlossen. § 3.3 Satz 2 gilt entsprechend.

§ 3.5 Im Fall eines wiederholten Prüfungsausschlusses aufgrund von § 3.3, § 3.4, § 11.2 wird die betroffene Person für die Dauer von fünf (5) Jahren ab dem wiederholten Prüfungsausschluss von der Prüfungsteilnahme ausgeschlossen.

§ 3.6 Personen, die von der Prüfung gemäß § 11.1 und/oder § 11.2 ausgeschlossen worden sind, sind bis zum Ablauf der in § 11 geregelten Sperrfristen von der Prüfungsteilnahme ausgeschlossen.

გამოცდა ზრდასრულებისათვის (18 წლიდან):

- Goethe-Zertifikat C2: Grosses Deutsches Sprachdiplom

გამოცდის მონაწილეებს, რომელთა ასაკი მნიშვნელოვნად განსხვავდება რეკომენდებული ასაკისაგან, ეკრძალებათ გაასაჩივრონ გამოცდის შედეგები იმ მიზეზით, რომ საგამოცდო თემები მათი ასაკისათვის შეუფერებელია. გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი არ არის არც ენის კურსების გავლა და არც წინა საფეხურის სერტიფიკატის მოპოვება.

§ 3.2 პირები, რომლებიც ჩაიჭრნენ გამოცდაში ან გამოცდის ცალკეულ ნაწილსა თუ მოდულში, შესაბამისი საგამოცდო ცენტრის მიერ დადგენილი განმეორებითი საგამოცდო ვადის გასვლის ბოლომდე გამოცდაზე არ დაიშვებიან (შეად. § 15)

§ 3.3 პირები, რომლებმაც გააყალბეს გოეთეს ინსტიტუტის სერტიფიკატი, ან გააყალბებულ სერტიფიკატს მათ შორის *Mein Goethe.de*-ზე გამოცდის შედეგების მანიპულირებულ სკრინშოტს წარმოადგენენ, გოეთეს ინსტიტუტის მიერ გაყალბების ფაქტის შეტყობიდან ერთი (1) წლის განმავლობაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას გამოცდებში. გამოცდებში მონაწილეობის ეს ერთწლიანი (1) აკრძალვის ვადა ვრცელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით როგორც გოეთეს ინსტიტუტებზე, ასევე გოეთეს ინსტიტუტის საგამოცდო თანამშრომლობის პარტნიორებზე.

§3.4. პირები, რომლებმაც გამოცდის შინაარსების გაცემა მესამე პირებზე, მოახდინეს, არ დაიშვებიან გამოცდაზე ერთი (1) წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც გოეთეს ინსტიტუტი შეიტყობს ამის შესახებ. §3.3 -ის მეორე წინადადება შესაბამისად, ძალაშია.

§ 3.5 გამოცდაზე განმეორებითი არ დაშვების შემთხვევაში § 3.3-ის, § 3.4-ისა და § 11.2-ის საფუძველზე აღნიშნულ პიროვნებას გამოცდაზე განმეორებითი არდაშვების შემდეგ ხუთი (5) წლის ვადით ეკრძალება გამოცდაში მონაწილეობა.

§ 3.6 პირები, რომლებიც § 11.1 და/ან § 11.2-ის შესაბამისად გამოცდიდან მოიხსნენ, გამოცდაზე არ დაიშვებიან § 11-ში განსაზღვრული ვადის ბოლომდე

§ 4 Anmeldung

§ 4.1 Vor Anmeldung zur Prüfung erhalten die Prüfungsinteressierten ausreichend Möglichkeiten, sich am Prüfungszentrum oder via Internet über die Prüfungsanforderungen, die *Prüfungsordnung* und *Durchführungsbestimmungen* und über die anschließende Mitteilung der Prüfungsergebnisse zu informieren. *Prüfungsordnung* und *Durchführungsbestimmungen* sind in ihrer jeweils aktuellen Fassung im Internet zugänglich. Mit der Anmeldung bestätigen die Prüfungsteilnehmenden bzw. die gesetzlichen Vertreter, dass sie die jeweils geltende *Prüfungsordnung* und *Durchführungsbestimmungen* zur Kenntnis genommen haben und anerkennen.

Nähere Information zu den Anmeldeöglichkeiten enthält das Anmeldeformular bzw. die Prüfungsbeschreibung im Internet. Die Anmeldeformulare erhalten die Prüfungsinteressierten beim örtlichen Prüfungszentrum oder via Internet. Bei beschränkt geschäftsfähigen Minderjährigen ist die Einwilligung des gesetzlichen Vertreters erforderlich.

§ 4.2 Soweit die jeweilige Anmeldeöglichkeit besteht, kann das ausgefüllte Anmeldeformular per Post, Fax oder E-Mail an das jeweils zuständige Prüfungszentrum zurückgesendet werden. Für die Anmeldung, den Vertragsschluss und die Vertragsabwicklung gelten vorrangig die Allgemeinen Geschäftsbedingungen des Goethe-Instituts e.V.. Auf diese wird bei der Anmeldung ausdrücklich hingewiesen. Für den Fall, dass die Anmeldung bzw. Durchführung der Prüfung über einen PrüfungsKooperationspartner erfolgt, gelten ergänzend die Allgemeinen Geschäftsbedingungen des PrüfungsKooperationspartners. Auf diese wird bei der Anmeldung ausdrücklich hingewiesen. Die Angabe der konkreten Uhrzeit wird den Prüfungsinteressenten ca. fünf (5) Tage vor dem Prüfungstermin in Textform mitgeteilt.

§ 4.3 Soweit diese Anmeldeöglichkeit besteht, kann die Anmeldung online unter www.goethe.de bzw. gegebenenfalls über die Website des jeweiligen Prüfungszentrums erfolgen. Für die Anmeldung, den Vertragsschluss und die Vertragsabwicklung gelten vorrangig die Allgemeinen Geschäftsbedingungen des Goethe-Instituts e.V. Auf diese wird bei der Anmeldung ausdrücklich hingewiesen.

§ 4 რეგისტრაცია

§ 4.1 რეგისტრაციამდე, ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს გამოცდის პირობებს, გამოცდის დებულებასა და გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციას და ასევე გამოცდის შედეგების შეტყობინების წესს საგამოცდო ცენტრებსა და ინტერნეტში. გამოცდის დებულებისა და გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციის აქტუალური რედაქციები ხელმისაწვდომია ინტერნეტში. რეგისტრაციით გამოცდის კანდიდატები ან მათი კანონიერი წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ისინი გაეცნენ გამოცდის დებულებასა და გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციას და ეთანხმებიან მას.

დამატებითი ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ სარეგისტრაციო ანკეტაში ან ინტერნეტში განთავსებულ გამოცდის აღწერაში. სარეგისტრაციო ანკეტას გამოცდის მონაწილეები ადგილობრივ საგამოცდო ცენტრში ან ინტერნეტის საშუალებით ღებულობენ. შეზღუდული უნარის მქონე არასრულწლოვნის შემთხვევაში საჭიროა მათი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

§ 4.2. რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე შესაძლებელია შევსებული სარეგისტრაციო ანკეტა შესაბამის საგამოცდო ცენტრში ფოსტით, ფაქსით ან ელ-ფოსტით გაგზავნა. რეგისტრაციისთვის, ხელშეკრულების დადებისა და მისი შესრულებისთვის ძალაშია გოეთეს ინსტიტუტის აქტუალური ზოგადი პირობები. გამოცდაზე რეგისტრაციისას მათი განსაკუთრებული ხაზგასმა ხდება. თუ გამოცდაზე დარეგისტრირება და გამოცდის ჩატარება პარტნიორ საგამოცდო ცენტრში ხდება, მაშინ დამატებით ძალაშია პარტნიორი საგამოცდო ცენტრის ზოგადი პირობები. გამოცდაზე რეგისტრაციისას ამის განსაკუთრებული ხაზგასმა ხდება. კონკრეტული საათის შესახებ ინფორმაცია, გამოცდაზე გასვლის მსურველებს, გამოცდამდე დაახლოებით ხუთი (5) დღით ადრე ტექსტის სახით მიეწოდება.

§ 4.3 რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე შესაძლებელია ონლაინ რეგისტრაცია www.goethe.de-ზე, ან შესაბამისი საგამოცდო ცენტრის ვებგვერდის საშუალებით. რეგისტრაციისთვის, ხელშეკრულების დადებისა და მისი შესრულებისთვის ძალაშია გოეთეს ინსტიტუტის აქტუალური ზოგადი პირობები. გამოცდაზე რეგისტრაციისას მათი განსაკუთრებული ხაზგასმა ხდება.

§ 4.4 Soweit diese Anmelde-möglichkeit besteht, kann die Anmeldung persönlich beim örtlichen Prüfungszentrum erfolgen. Für den Vertragsschluss und die Vertragsabwicklung gelten vorrangig die Allgemeinen Geschäftsbedingungen des Goethe-Instituts e.V. Auf diese wird bei der Anmeldung ausdrücklich hingewiesen.

§ 5 Termine

Das jeweilige Prüfungszentrum bestimmt die Anmeldefrist sowie Ort und Zeit der Prüfung. Bei nicht modular ablegbaren Prüfungen werden mündlicher und schriftlicher Prüfungsteil in der Regel innerhalb eines Zeitraums von 14 Tagen durchgeführt. Die aktuellen Prüfungstermine und Anmeldefristen finden sich auf den Anmeldeformularen bzw. bei der Prüfungsbeschreibung im Internet.

§ 6 Prüfungsgebühr und Gebührenerstattung

§ 6.1 Die Gebühr richtet sich nach der jeweils gültigen lokalen Gebührenordnung und wird auf dem Anmeldeformular bzw. bei der Prüfungsbeschreibung im Internet ausgewiesen. Die Prüfung kann nicht begonnen werden, sofern die vereinbarten Zahlungstermine nicht eingehalten wurden.

§ 6.2 Gilt eine Prüfung aus Krankheitsgründen als nicht abgelegt (vgl. § 12), wird die Prüfungsgebühr für den nächsten Prüfungstermin gutgeschrieben. Das jeweils zuständige Prüfungszentrum entscheidet über die Erhebung einer Verwaltungsgebühr in Höhe von bis zu 25 % der Prüfungsgebühr für die Umbuchung. Dem/Der Prüfungsteilnehmenden bleibt der Nachweis vorbehalten, dass ein Schaden überhaupt nicht entstanden oder wesentlich niedriger als die Pauschale ist.

§ 6.3 Wird einem Einspruch stattgegeben (vgl. § 20), so gilt die Prüfung als nicht abgelegt und die Prüfungsgebühr wird vom Prüfungszentrum gutgeschrieben oder erstattet.

§ 6.4 Wird ein/-e Teilnehmende/-r von der Prüfung ausgeschlossen (vgl. § 11), wird die Prüfungsgebühr nicht zurückerstattet.

§4.4. რეგისტრაციის გამოცხადებისთანავე შესაძლებელია რეგისტრაციის პირადად გავლა ადგილობრივ საგამოცდო ცენტრში. რეგისტრაციისთვის, ხელშეკრულების დადებისა და მისი შესრულებისთვის ძალაშია გოეთეს ინსტიტუტის აქტუალური ზოგადი პირობები. გამოცდაზე რეგისტრაციისას მათი განსაკუთრებული ხაზგასმა ხდება.

§ 5 ვადები

ყოველი საგამოცდო ცენტრი განსაზღვრავს რეგისტრაციის ვადას, ისევე როგორც გამოცდის ადგილსა და დროს. არამოდულარული გამოცდის შემთხვევაში ზეპირი და წერიტი გამოცდები 14 დღის ინტერვალში ბარდება. გამოცდების აქტუალური თარიღები და რეგისტრაციის ვადები იხილეთ სარეგისტრაციო ანკეტაში ან ინტერნეტში განთავსებული გამოცდის აღწერაში.

§ 6 გამოცდის საფასური და მისი ანაზღაურება

§ 6.1 საგამოცდო საფასური აქტუალურ ადგილობრივ საგადასახადო რეგულაციას ეფუძნება და სარეგისტრაციო ანკეტაში ან ინტერნეტში განთავსებულ გამოცდის აღწერაშია მითითებული. გამოცდა ვერ დაიწყება, თუ გამოცდის საფასურის გადახდის შეთანხმებული ვადა დაცული არ იქნება.

§ 6.2 თუკი გამოცდის ჩაბარება ავადმყოფობის გამო ვერ მოხდა (შდრ. § 12), გამოცდის საფასური გამოცდის შემდეგი თარიღისთვის ჩაირიცხება. თითოეული საგამოცდო ცენტრი ადგენს გამოცდის გადატანის ადმინისტრაციული მომსახურების თანხას გამოცდის საფასურის 25%-მდე მოცულობით. გამოცდის მონაწილე ადასტურებს, რომ ზარალს საერთოდ ადგილი არ ჰქონია, ან ის ძალზე მცირე იყო მთლიან გადასახადთან შედარებით.

§ 6.3 საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში (შდრ. § 20) გამოცდა ჩაბარებულად არ ჩაითვლება და საგამოცდო ცენტრი ან გამოცდის საფასურს ჩაირიცხავს ან აანაზღაურებს.

§ 6.4 თუკი გამოცდის მონაწილე გამოცდიდან მოიხსნა, (შდრ. §11), გამოცდის საფასურის ანაზღაურება არ ხდება.

§ 7 Prüfungsmaterialien

Die Prüfungsmaterialien (im Print- und Digitalformat) werden ausschließlich in der Prüfung und nur in der Form verwendet, in der sie von der Zentrale des Goethe-Instituts ausgegeben werden. Die Prüfungstexte werden weder in ihrem Wortlaut noch in ihrer Anordnung verändert; ausgenommen von dieser Bestimmung ist die Korrektur technischer Fehler oder Mängel.

§ 8 Ausschluss der Öffentlichkeit

Die Prüfungen sind nicht öffentlich.

Ausschließlich Vertreter des Goethe-Instituts sind aus Gründen der Qualitätssicherung (vgl. § 26) berechtigt, auch unangemeldet den Prüfungen beizuwohnen. Sie dürfen jedoch nicht in das Prüfungsgeschehen eingreifen. Eine solche Hospitation ist im *Protokoll über die Durchführung der Prüfung* unter Angabe des Zeitraums zu dokumentieren.

§ 9 Ausweispflicht

Das Prüfungszentrum ist verpflichtet, die Identität der Prüfungsteilnehmenden zweifelsfrei festzustellen. Diese weisen sich vor Prüfungsbeginn und gegebenenfalls zu jedem beliebigen Zeitpunkt während des Prüfungsablaufs mit einem offiziellen Bilddokument aus. Das Prüfungszentrum hat das Recht, über die Art des Bilddokuments zu entscheiden und weitere Maßnahmen zur Klärung der Identität durchzuführen. Welche Dokumente akzeptiert werden und welche weiteren Maßnahmen zur Identitätsfeststellung vorgenommen werden können, wird dem/der Prüfungsteilnehmenden zusammen mit der Entscheidung über die Teilnahme (§§ 3, 4) mitgeteilt.

§ 10 Aufsicht

Durch mindestens eine qualifizierte Aufsichtsperson wird sichergestellt, dass die Prüfungen ordnungsgemäß durchgeführt werden. Die Prüfungsteilnehmenden dürfen während der laufenden Prüfung den Prüfungsraum nur einzeln verlassen. Dies wird im *Protokoll über die Durchführung der Prüfung* unter Angabe des konkreten Zeitraums vermerkt. Teilnehmende, die die Prüfung vorzeitig beenden, dürfen den Prüfungsraum während der Prüfung nicht mehr betreten.

§ 7 საგამოცდო მასალები

საგამოცდო მასალები (ბეჭდური და ციფრული ფორმატით) გამოიყენება მხოლოდ გამოცდაზე და მხოლოდ გოეთეს ინსტიტუტის სათაო ოფისის მიერ წარმოდგენილი სახით. საგამოცდო ტექსტების, მათი შინაარსისა და თანმიმდევრობის შეცვლა დაუშვებელია. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ტექნიკური შეცდომებისა და ხარვეზის შესწორება.

§ 8 საჯაროობის გამორიცხვა

გამოცდები არ არის საჯარო.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით (შდრ. §26), მხოლოდ გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენლები არიან უფლებამოსილი, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაესწრონ გამოცდებს. თუმცა, მათ არ აქვთ საგამოცდო პროცესში ჩარევის უფლება. ასეთი სახის დასწრება უნდა აისახოს დოკუმენტურად გამოცდის ჩატარების ოქმში დროის მითითებით.

§ 9 პირადობის დადგენის აუცილებლობა

საგამოცდო ცენტრი ვალდებულია უტყუარად დაადგინოს კანდიდატთა იდენტურობა. ყველა კანდიდატი ვალდებულია გამოცდის წინ და, საჭიროების შემთხვევაში, გამოცდის მსვლელობის ნებისმიერ მომენტში წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი ფოტოსურათიანი მოწმობა/დოკუმენტი. საგამოცდო ცენტრი უფლებამოსილია დამოუკიდებლად დაადგინოს დოკუმენტის სახეობა და გაატაროს იდენტურობის დასადაგენად საჭირო შემდგომი ზომები. გამოცდაზე პიროვნების იდენტიფიკაციისათვის საჭირო დოკუმენტაციისა და ღონიძიებების შესახებ ინფორმაციას გამოცდის მონაწილე გამოცდაზე დარეგისტრირებისას იღებს. (§§ 3, 4)

§ 10 დამკვირვებლები

გამოცდების დროს წესის დაცვას უზრუნველყოფს მინიმუმ ერთი კვალიფიციური დამკვირვებელი. კანდიდატებს საგამოცდო ოთახის დატოვება მხოლოდ სათითაოდ შეუძლიათ. მსგავსი ფაქტი აღინიშნება საგამოცდო ოქმში დროის მითითებით. გამოცდის დროზე ადრე დატოვების შემთხვევაში, კანდიდატებს ოთახში დაბრუნება ეკრძალებათ.

Die Aufsichtsperson gibt während der Prüfung die nötigen organisatorischen Hinweise und stellt sicher, dass die Teilnehmenden selbstständig und nur mit den erlaubten Arbeitsmitteln (vgl. auch § 11) arbeiten. Die Aufsichtsperson ist nur zur Beantwortung von Fragen zur Durchführung der Prüfung befugt. Fragen zu Prüfungsinhalten dürfen von ihm/ihr weder beantwortet noch kommentiert werden.

§ 11 Ausschluss von der Prüfung

§ 11.1 Von der Prüfung wird ausgeschlossen, wer in Zusammenhang mit der Prüfung täuscht, unerlaubte Hilfsmittel mitführt, verwendet oder sie anderen gewährt oder sonst durch sein Verhalten den ordnungsgemäßen Ablauf der Prüfung stört. In diesem Fall werden die Prüfungsleistungen nicht bewertet. Als unerlaubte Hilfsmittel gelten fachliche Unterlagen, die weder zum Prüfungsmaterial gehören noch in den *Durchführungsbestimmungen* vorgesehen sind (z. B. Wörterbücher, Grammatiken, vorbereitete Konzeptpapiere o. Ä.). Technische Hilfsmittel, wie Mobiltelefone, Minicomputer, Smartwatches oder andere zur Aufzeichnung oder Wiedergabe geeignete Geräte, dürfen weder in den Vorbereitungsraum noch in den Prüfungsraum mitgenommen werden.

Das Prüfungszentrum hat das Recht, die Einhaltung der oben genannten Bestimmungen zu überprüfen bzw. durchzusetzen. Zuwiderhandlungen führen zum Prüfungsausschluss. Bereits der Versuch von Prüfungsteilnehmenden, vertrauliche Prüfungsinhalte Dritten zugänglich zu machen, führt zum Ausschluss von der Prüfung.

Wird ein/-e Prüfungsteilnehmende/-r aus einem der in diesem Paragraphen genannten Gründe von der Prüfung ausgeschlossen, kann die Prüfung frühestens nach drei Monaten ab dem Tag des Prüfungsausschlusses wiederholt werden.

გამოცდის მსვლელობისას დამკვირვებელი იძლევა ყველა საჭირო საორგანიზაციო მითითებას და რწმუნდება იმაში, რომ კანდიდატები დამოუკიდებლად მუშაობენ და მხოლოდ ნებადართულ სამუშაო საშუალებებს (იხ. §11) იყენებენ. დამკვირვებელი უფლებამოსილია პასუხი გასცეს მხოლოდ გამოცდის მსვლელობასთან დაკავშირებულ კითხვებს. დაუშვებელია დამკვირვებელმა პასუხი გასცეს გამოცდის შინაარსთან დაკავშირებულ თემებს და დააკომენტაროს ისინი.

§ 11 გამოცდიდან მოხსნა

§ 11.1 გამოცდიდან მოიხსნება ის კანდიდატი, რომელიც შეეცდება გამოცდასთან დაკავშირებით მოტყუებას, აკრძალული დამხმარე საშუალებების გამოცდაზე შეტანასა და გამოყენებას, სხვა პირებისათვის მათ გადაცემას და აგრეთვე მსგავსი საქციელით გამოცდის წესისამებრ ჩატარებისთვის ხელის შეშლას. ასეთ შემთხვევაში საგამოცდო ნაშრომი არ სწორდება. აკრძალულ დამხმარე საშუალებებად ითვლება პროფესიული სახის მასალა, რომელიც არ წარმოადგენს საგამოცდო მასალას და რომლის გამოყენება გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციის მიხედვით გათვალისწინებული არ არის (მაგ: ლექსიკონები, გრამატიკის სახელმძღვანელოები, ჩანიშვნის ფურცლები, ან მსგავსი). ტექნიკური დამხმარე საშუალებები, როგორცაა მობილური ტელეფონები, მინიკომპიუტერები, სმარტსაათები და სხვა ჩაწერისა და მოსმენისთვის განკუთვნილი ხელსაწყოები, იკრძალება როგორც მოსამზადებელ, ასევე საგამოცდო ოთახში. საგამოცდო ცენტრი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული დადგენილება გადაამოწმოს, ან სისრულეში მოიყვანოს ის. საწინააღმდეგო ქმედების შემთხვევაში კანდიდატი იხსნება გამოცდიდან. გამოცდის მონაწილეთა მცდელობაც კი, გამოცდის კონფიდენციალური შინაარსი მესამე მხარისთვის ხელმისაწვდომი გახადოს, გამოცდიდან მოხსნას გამოიწვევს თუ გამოცდის მონაწილე ამ პარაგრაფში მითითებული ერთ-ერთი მიზეზის გამო გამოცდიდან მოიხსნა, გამოცდაზე განმეორებითი გასვლა შესაძლებელია არა უადრეს სამი თვისა გამოცდიდან მოხსნის დღიდან.

§ 11.2 Täuscht oder versucht ein/-e Prüfungsteilnehmende/-r in Zusammenhang mit der Prüfung über ihre/seine Identität zu täuschen, so werden diese/-r und alle an der Identitätstäuschung beteiligten Personen von der Prüfung ausgeschlossen.

Erfolgt der Ausschluss, so verhängt das Goethe-Institut, nach Abwägung aller Umstände des Einzelfalls, für die an der Identitätstäuschung beteiligten Personen eine Sperrung von einem (1) Jahr zur Ablegung von Prüfungen im Rahmen des Prüfungsportfolios des Goethe-Instituts weltweit (vgl. § 3). Zu diesem Zweck (Kontrolle der Einhaltung einer verhängten Prüfungssperre) werden bestimmte personenbezogene Datenkategorien des/der Gesperrten, nämlich Name, Vorname, Geburtsdatum, Geburtsort, Sperrungszeitraum, Meldung durch Prüfungszentrum, an die Prüfungszentren des Goethe-Instituts (siehe dazu § 2) weltweit weitergegeben und dort dazu verarbeitet. Siehe auch § 15.

Die vorigen beiden Absätze finden entsprechende Anwendung, wenn der/die Prüfungsteilnehmende zur Erlangung der Prüfung einer an der Prüfung direkt oder indirekt beteiligten Person unrechtmäßige Zahlungen oder andere unrechtmäßige Vorteile für das Bestehen der Prüfung anbietet, verspricht oder gewährt (Antikorruptionsklausel).

§ 11.3 Stellt sich nach Beendigung der Prüfung heraus, dass Tatbestände für einen Ausschluss gemäß § 11.1 und/oder § 11.2 gegeben sind, so ist die Prüfungskommission (vgl. § 16) berechtigt, die Prüfung als *nicht bestanden* zu bewerten und das ggf. ausgestellte Zertifikat zurückzufordern. Die Prüfungskommission muss den/die Betroffene/-n anhören, bevor sie eine Entscheidung trifft. In Zweifelsfällen wird die Zentrale des Goethe-Instituts verständigt und um Entscheidung gebeten. Es gelten die in § 11.1 bzw. § 11.2 genannten Sperrfristen.

§ 11.2 თუ გამოცდის მონაწილე გამოცდასთან მიმართებაში საკუთარ იდენტობას გაყალბებს ან გაყალბების მცდელობა ექნება, მაშინ ეს პირი და გაყალბების პროცესში ჩართული ყველა პიროვნება გამოცდიდან მოიხსნება.

გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, კონკრეტული შემთხვევის ყველა გარემოების შეფასების შემდეგ, გამოცდის კანდიდატის იდენტურობის გაყალბებაში მონაწილე პირებს გოეთეს ინსტიტუტი უკრძალვას გამოცდაში მონაწილეობას ერთი (1) წლის ვადით გოეთეს ინსტიტუტის საგამოცდო პორტფოლიოს ფარგლებში მსოფლიოს მასშტაბით (შეად. §3). ამ (გამოცდაზე გასვლის დაწესებული აკრძალვის აღსრულების კონტროლის) მიზნით ამ კონკრეტული პირის მონაცემები, კერძოდ, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ადგილი და აკრძალვის ვადა მოცემული საგამოცდო ცენტრის მიერ გოეთეს ინსტიტუტის სხვა საგამოცდო ცენტრებში (იხ. § 2) მსოფლიოს მასშტაბით იგზავნება და იქ მუშავდება. იხ. ასევე § 15.

წინა ორივე აბზაცი ამოქმედდება მაშინ როდესაც, თუ როდესაც გამოცდის მონაწილე გამოცდის ჩასაბარებლად გამოცდაში არაპირდაპირ ან უშუალოდ ჩართულ პირს თანხას ან სხვა უკანონო სარგებელს სთავაზობს, პირდება ან აძლევს (ანტიკორუფციული პუნქტი).

§ 11.3 თუკი გამოცდის დასრულების შემდეგ გამოცდიდან მოხსნის შესაბამისი ფაქტები § 11.1-ისა და /ან § 11.2-ის მიხედვით დადგინდა, საგამოცდო კომისია (შეად. § 16) უფლებამოსილია, კონკრეტული პირი გამოცდაში ჩაჭრილად აღიაროს და, გარკვეულ შემთხვევებში, გაცემული სერტიფიკატი უკან გამოითხოვოს. საგამოცდო კომისიამ გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მოუსმინოს მოცემულ პირს. საექვო შემთხვევაში ინფორმაცია გოეთეს ინსტიტუტის ცენტრალურ ოფისს ეგზავნება გადაწყვეტილების მიღების თხოვნით. ძალაშია § 11.1-სა და §11.2-ში დასახელებული აკრძალვის ვადები.

§ 12 Rücktritt von der Prüfung bzw. Abbruch der Prüfung

Unbeschadet des gesetzlichen Widerrufsrechts gilt Folgendes: Die Möglichkeit zum Rücktritt von der Prüfung besteht; es besteht jedoch kein Anspruch auf Rückerstattung von bereits entrichteten Prüfungsgebühren. Erfolgt der Rücktritt vor Prüfungsbeginn, so gilt die Prüfung als nicht abgelegt.

Wird die Prüfung nach Beginn abgebrochen, so gilt die Prüfung als nicht bestanden.

Wird eine Prüfung nicht begonnen oder nach Beginn abgebrochen und werden dafür Krankheitsgründe geltend gemacht, sind diese unverzüglich durch Vorlage eines ärztlichen Attests beim zuständigen Prüfungszentrum nachzuweisen. Die Entscheidung über das weitere Vorgehen trifft das Prüfungszentrum nach Rücksprache mit der Zentrale des Goethe-Instituts.

Hinsichtlich der Prüfungsgebühren gilt § 6.2.

§ 13 Mitteilung der Prüfungsergebnisse

Die Mitteilung der Prüfungsergebnisse erfolgt in der Regel über das Prüfungszentrum, an dem die Prüfung abgelegt wurde. Eine individuelle vorzeitige Ergebnismitteilung ist nicht möglich.

§ 14 Zertifizierung

Das Zeugnis ist von dem/der Prüfungsverantwortlichen und einem/einer Prüfenden unterschrieben (vgl. § 16). Im Falle des Zeugnisverlusts kann innerhalb von 10 Jahren eine Ersatzbescheinigung ausgestellt werden. Die Ausstellung einer Ersatzbescheinigung ist kostenpflichtig. Die Prüfungsleistungen werden in Form von Punkten und gegebenenfalls sich daraus ableitenden Prädikaten dokumentiert. Das Prüfungszentrum weist bei Nichtbestehen auf die Bedingungen zur Wiederholung der Prüfung hin. Die Teilnahme an einer abgelegten, aber nicht bestanden Prüfung wird unter Nennung der erhaltenen Punktwerte auf Wunsch bestätigt.

§ 12 გამოცდის ჩაბარების გადაფიქრება ან მისი შეწყვეტა

უარის თქმის კანონიერი უფლებისთვის ზიანის მიყენების გარეშე ძალაშია შემდეგი: გამოცდის ჩაბარებაზე უარის თქმა შესაძლებელია, თუმცა, უკვე შეტანილი თანხის დაბრუნების მოთხოვნა არ განიხილება. გამოცდის დაწყებამდე მისი შეწყვეტა არ შემდგარ გამოცდად ითვლება. თუ გამოცდა მისი დაწყების შემდეგ შეწყდა, იგი ჩაუბარებელ გამოცდად განიხილება.

თუ კანდიდატი გამოცდას ავადმყოფობის გამო შეწყვეტს და საერთოდ არ დაიწყებს, იგი ვალდებულია საგამოცდო ცენტრს დაუყონებლივ წარუდგინოს ცნობა ავადმყოფობის შესახებ. მოცემულ შემთხვევას განიხილავს ადგილობრივი საგამოცდო ცენტრი გოეთეს ინსტიტუტის სათაო ოფისთან კონსულტაციის შემდეგ. გამოცდის საფასურთან დაკავშირებით ძალაშია § 6.2.

§ 13 გამოცდის შედეგების გამოცხადება/გამოქვეყნება

გამოცდის შედეგების შეტყობინება როგორც წესი, იმ საგამოცდო ცენტრის მიერ ხდება, სადაც გამოცდა ჩაბარდა. გამოცდის შედეგის შესახებ ინფორმაციის ინდივიდუალურად გაცემა ვადაზე ადრე არ არის შესაძლებელი.

§ 14 სერტიფიცირება

სერტიფიკატები გაიცემა გამოცდაზე პასუხისმგებელი პირისა და ერთი გამომცდელის ხელმოწერით. (იხ. § 16) სერტიფიკატის დაკარგვის შემთხვევაში გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში შესაძლებელია სანაცვლო მოწმობის მიღება. მოწმობის ასლის დამზადება ფასიანია. გამოცდის შედეგები ქულებით და, შესაბამისად, მათგან დაჯამებული საერთო ნიშნით დოკუმენტირდება. გამოცდაზე ჩაჭრის შემთხვევაში საგამოცდო ცენტრი კანდიდატს მიუთითებს გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობებზე. ასევე, შესაძლებელია, გამოცდაზე გასვლისა და ჩაჭრის შემთხვევაში მასში მონაწილეობის მიღების დამადასტურებელი ცნობის აღება დაგროვილი ქულათა რაოდენობის მითითებით.

§ 14.1 Nicht-modulare Prüfungen

Prüfungsteilnehmende, die unten stehende Prüfungen in allen Teilen abgelegt und bestanden haben, erhalten ein Zeugnis in einfacher Ausfertigung:

- GOETHE-ZERTIFIKAT A1: FIT IN DEUTSCH 1
- GOETHE-ZERTIFIKAT A1: START DEUTSCH 1
- GOETHE-ZERTIFIKAT A2 FIT IN DEUTSCH
- GOETHE-ZERTIFIKAT A2
- GOETHE-ZERTIFIKAT C1

§ 14.2 Modulare Prüfungen

Prüfungsteilnehmende, die ein Modul oder mehrere Module der Prüfungen

- GOETHE-ZERTIFIKAT B1
- GOETHE-ZERTIFIKAT B2
- GOETHE-ZERTIFIKAT C1 (modular ab 2022)
- GOETHE-ZERTIFIKAT C2: GROSSES DEUTSCHES SPRACHDIPLOM

abgelegt und bestanden haben, erhalten je ein Zeugnis über das oder die abgelegte(n) Modul(e) in einfacher Ausfertigung. Werden alle vier Module an **einem** Prüfungsort und **einem** Prüfungstermin abgelegt und bestanden, haben die Prüfungsteilnehmenden alternativ das Recht auf ein einziges Zeugnis in einfacher Ausfertigung, das alle vier Module ausweist. Werden zu einem späteren Zeitpunkt ein oder mehrere Module erneut abgelegt, sind die dafür erhaltenen Zeugnisse mit bereits zuvor erworbenen kombinierbar.

Sofern es die organisatorischen Möglichkeiten am Prüfungszentrum erlauben, kann auf Wunsch zusätzlich ein Gesamtzeugnis ausgestellt werden. Auf dem Gesamtzeugnis werden die besten Ergebnisse, die innerhalb eines Jahres in den vier Modulen erzielt wurden, aufgeführt.

Das Gesamtzeugnis bescheinigt das Bestehen aller vier Module **innerhalb eines Jahres**

- an Goethe-Instituten innerhalb der Europäischen Union
- an Goethe-Instituten in Drittstaaten innerhalb eines Landes.

§ 14.1 არამოდულარული გამოცდები

გამოცდის მონაწილეებს, რომლებიც გამოცდის ყველა ნაწილს ჩააბარებენ, ერთჯერადად ეძლევათ სერტიფიკატი შემდეგი გამოცდებისთვის:

- GOETHE ZERTIFIKAT A1: FIT IN DEUTSCH 1
- GOETHE ZERTIFIKAT A1: START DEUTSCH 1
- GOETHE ZERTIFIKAT A2 FIT IN DEUTSCH
- GOETHE ZERTIFIKAT A2
- GOETHE ZERTIFIKAT C1

§ 14.2 მოდულარული გამოცდები

კანდიდატები, რომლებიც ერთ, ან რამდენიმე მოდულს გამოცდებისა

- GOETHE ZERTIFIKAT B1
- GOETHE ZERTIFIKAT B2
- GOETHE-ZERTIFIKAT C1 (მოდულარული 2022-დან)
- GOETHE ZERTIFIKAT C2: GROSSES DEUTSCHES SPRACHDIPLOM

წარმატებით ჩააბარებენ, ერთჯერადად ეძლევათ თითოეული, ან რამდენიმე მოდულის ჩაბარების სერტიფიკატი. ოთხივე მოდულის ერთსა და იგივე დღეს, ერთ საგამოცდო ცენტრში ჩააბარების შემთხვევაში, კანდიდატს უფლება ეძლევა, ერთჯერადად აიღოს სერტიფიკატი ერთ ეგზემპლარად ოთხივე მოდულისთვის, სადაც ოთხივე მოდულის შედეგებია მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატი ერთ ან რამდენიმე მოდულს მოგვიანებით თავიდან ჩააბარებს, შესაძლებელია უკვე მიღებული სერტიფიკატების ახალთან კომბინირება.

თუ საგამოცდო ცენტრში ორგანიზაციული შესაძლებლობები ამის საშუალებას იძლევა, შესაძლებელია, სურვილის შემთხვევაში, დამატებით გაიცეს საერთო სერტიფიკატი. საერთო სერტიფიკატი აჩვენებს ერთი წლის განმავლობაში ოთხ მოდულში მიღწეულ საუკეთესო შედეგებს.

საერთო სერტიფიკატი ადასტურებს ერთი წლის განმავლობაში ოთხივე მოდულის ჩაბარებას

- გოეთეს ინსტიტუტებში ევროკავშირის მასშტაბით
- მესამე ქვეყნების გოეთეს ინსტიტუტებში ერთი ქვეყნის ფარგლებში.

Institutsübergreifende Gesamtzeugnisse können nur von Goethe-Instituten ausgestellt werden, an denen mindestens ein Modul erfolgreich abgelegt wurde.

An Goethe-Zentren und bei Prüfungskooperationspartnern kann ein Gesamtzeugnis ausgestellt werden, wenn alle vier Module **innerhalb eines Jahres am gleichen Prüfungszentrum** bestanden wurden.

Das jeweils zuständige Prüfungszentrum entscheidet über die Erhebung einer Verwaltungsgebühr in Höhe von bis zu 25 % der Prüfungsgebühr für die Ausstellung eines Gesamtzeugnisses.

§ 15 Wiederholung der Prüfung

Die in § 14.1 und 14.2 genannten Prüfungen können als Ganzes beliebig oft wiederholt werden; für die in § 14.2 genannten modularen Prüfungen besteht darüber hinaus die Möglichkeit, auch einzelne Module beliebig oft zu wiederholen.

Vom Prüfungszentrum können bestimmte Fristen für einen Wiederholungstermin festgelegt werden. Auf diese wird bei der Mitteilung des Prüfungsergebnisses hingewiesen. Ein Rechtsanspruch auf einen bestimmten Prüfungstermin besteht nicht. Siehe auch § 11.

§ 16 Prüfungskommission

Für die Abnahme und ordnungsgemäße Durchführung der Prüfung beruft das Prüfungszentrum eine Prüfungskommission ein, die sich aus zwei Prüfenden zusammensetzt, von denen in der Regel eine/-r der/die Prüfungsverantwortliche des jeweiligen Prüfungszentrums ist.

§ 17 Protokoll über die Durchführung der Prüfung

Über den Verlauf der Prüfung wird ein Protokoll (im Print- oder Digitalformat) angefertigt. Darin werden die Daten zur jeweiligen Prüfung (Prüfungsteilnehmende/-r, Prüfungszentrum, Prüfungstermin u. a.) einschließlich Uhrzeit und besondere Vorkommnisse während der Prüfung festgehalten.

ინსტიტუტების საერთო სერთიფიკატები დასაშვებია გასცენ მხოლოდ გოეთეს ინსტიტუტებმა, სადაც, მინიმუმ, ერთი მოდული მაინც ჩაბარდა წარმატებულად.

გოეთეს ცენტრებსა და საგამოცდო თანამშრომლობის პარტნიორებთან საერთო სერთიფიკატი შეიძლება გაიცეს იმ შემთხვევაში, თუ ოთხივე მოდული ერთი წლის განმავლობაში ერთ საგამოცდო ცენტრშია ჩაბარებული.

საერთო სერთიფიკატის გასაცემად პასუხისმგებელი საგამოცდო ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული მოსაკრებლის საგამოცდო საფასურის 25% -მდე რაოდენობით შეგროვების შესახებ.

§ 15 გამოცდის გამეორება/გამოცდის ხელახალი ჩაბარება

§ 14.1 და § 14.2 ჩამოთვლილი გამოცდების გამეორება ერთიანი ფორმატით შეზღუდული არ არის; § 14.2 ჩამოთვლილი მოდულარული გამოცდების შემთხვევაში, შესაძლებელია აგრეთვე ცალკეული მოდულების განმეორებით ჩაბარება შეუზღუდავი სიხშირით. განმეორებითი გამოცდის ადგილისა და დროის დადგენა საგამოცდო ცენტრის პრეროგატივაა. მათი მითითება ხდება გამოცდის შედეგების გამოქვეყნების დროს. არ არსებობს იურიდიული უფლება გამოცდის კონკრეტულ თარიღზე. იხ. აგრეთვე § 11

§ 16 საგამოცდო კომისია

გამოცდის მიღებისა და წესისამებრ ჩატარებისათვის საგამოცდო ცენტრი ორი გამომცდელისაგან შემდგარ საგამოცდო კომისიას იწვევს, რომელთაგან ერთ-ერთი როგორც წესი საგამოცდო ცენტრის გამოცდაზე პასუხისმგებელი პირია.

§ 17 ოქმი გამოცდის ჩატარების შესახებ

გამოცდის მსვლელობა აღწერილია ოქმში (ზეჭდურ და ციფრულ ფორმატში). მასში გროვდება თითოეული გამოცდის მონაცემები (გამოცდის მონაწილე, საგამოცდო ცენტრი, თარიღი და ა.შ.), მათ შორის, გამოცდის ჩატარების საათი და განსაკუთრებული შემთხვევები გამოცდის მიმდინარეობისას.

§ 18 Befangenheit

Die Besorgnis der Befangenheit eines/einer Prüfenden kann der/die Prüfungsteilnehmende nur unverzüglich und nur vor Beginn der mündlichen Prüfung vorbringen. Die Entscheidung über die Mitwirkung des/der Prüfenden trifft der/die Prüfungsverantwortliche. In der mündlichen Prüfung hat mindestens einer der beiden Prüfenden keine/-n Prüfungsteilnehmende/-n im letzten vor der Prüfung von der/dem Prüfungsteilnehmenden besuchten Kurs unterrichtet. Ausnahmeregelungen bedürfen der Genehmigung durch die Zentrale des Goethe-Instituts.

§ 19 Bewertung

Die Prüfungsleistungen werden von zwei Prüfenden/Bewertenden voneinander unabhängig bewertet. Bei digitalen Deutschprüfungen werden Aufgaben mit vorgegebenen Antwortmöglichkeiten in den Modulen LESEN und HÖREN technisch automatisiert durch die Testplattform bewertet. Im schriftlichen Prüfungsteil werden nur solche Markierungen bzw. Texte bewertet, die mit zulässigen Schreibwerkzeugen erstellt wurden (Kugelschreiber, Füller, Faser- oder Gelstifte in Schwarz oder Blau). Bei digitalen Deutschprüfungen werden nur die Texte bewertet, die in das entsprechende Textfeld eingetragen wurden. Die Einzelheiten sind den jeweiligen *Durchführungsbestimmungen* zu entnehmen.

§ 20 Einsprüche

Ein Einspruch gegen das **Prüfungsergebnis** ist innerhalb von zwei Wochen nach Bekanntgabe des Prüfungsergebnisses in Textform bei der Leitung des Prüfungszentrums, an dem die Prüfung abgelegt wurde, zu erheben. Unbegründete oder nicht ausreichend begründete Anträge kann der Prüfungsverantwortliche zurückweisen. Der bloße Hinweis auf eine nicht erreichte Punktzahl ist als Begründung nicht ausreichend.

Der/Die Prüfungsverantwortliche am Prüfungszentrum entscheidet darüber, ob dem Einspruch stattgegeben wird. In Zweifelsfällen wendet er/sie sich an die Zentrale des Goethe-Instituts und diese entscheidet darüber. Die Entscheidung über die Bewertung ist endgültig.

§ 18 არაობიექტურობა

რომელიმე გამოცდელის ობიექტურობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში კანდიდატმა ამის შესახებ მხოლოდ ზეპირი გამოცდის დაწყებამდე უნდა განაცხადოს. გამოცდაზე გამოცდაზე პასუხისმგებელი პირი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, ჩაიბარებს თუ არა აღნიშნული გამომცდელი გამოცდას. ზეპირ გამოცდაზე ორი გამომცდელიდან მინიმუმ ერთი მაინც არ უნდა იყოს გამოცდის მონაწილის მასწავლებელი გამოცდის წინა კურსზე. გამონაკლისები გოეთეს ინსტიტუტის ცენტრალური ოფისის თანხმობას საჭიროებს.

§ 19 შეფასება

გამოცდის შედეგები ფასდება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორი გამომცდელის მიერ. გერმანული ენის გამოცდების ციფრული ფორმატის დროს დავალებები წინასწარ მოცემული პასუხების ვარიანტებით მოდულებში კითხვა და მომსმენა ტექნიკურად ავტომატიზირებულია და ტესტური პლატფორმის მიერ ფასდება. წერთი გამოცდის მხოლოდ ის მონიშვნები ან ტექსტები სწორდება, რომელიც დაშვებული (შავი ან ლურჯი ფერის ბურთულიანი -, ბოჭკოვანი -, ან გელის) კალმითაა შესრულებული. ვრცლად იხ. გამოცდის მსვლელობის ინსტრუქცია. გერმანული ენის ციფრული გამოცდების დროს მხოლოდ იმ ტექსტების შეფასება ხდება, რომლებიც შესაბამის სატექსტო ველზეა შეტანილი. დეტალები შეგიძლიათ იხილოთ შესაბამისი გამოცდის მსვლელობის ინსტრუქციაში.

§ 20 გამოცდის შედეგების გასაჩივრება

გამოცდის შედეგების გასაჩივრება მათი გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში უნდა მოხდეს. განცხადება იწერება ტექსტის ფორმით საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი პირის სახელზე. გოეთეს ინსტიტუტის გამოცდაზე პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია დაუსაბუთებელი საჩივარი არ დააკმაყოფილოს. საჩივრისათვის საკმარის მიზეზს არ წარმოადგენს ქულათა არასაკმარისი რაოდენობის მიღება.

გამოცდაზე პასუხისმგებელი პირი საგამოცდო ცენტრში უფლებამოსილია გადაწყვიტოს, მიიღება თუ არა ესა თუ ის საჩივარი. ეჭვის გაჩენის შემთხვევაში გამოცდაზე პასუხისმგებელი პირი მიმართავს გოეთეს ინსტიტუტის სათაო ოფისს, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას ღებულობს ამის შესახებ და ეს გადაწყვეტილება შეფასების შესახებ საბოლოოა.

Ein Einspruch gegen die **Durchführung** der Prüfung ist unmittelbar nach Ablegen der Prüfung bei der Leitung des zuständigen Prüfungszentrums, an dem die Prüfung abgelegt wurde, in Textform zu erheben. Der/Die Prüfungsverantwortliche holt die Stellungnahmen aller Beteiligten ein, entscheidet über den Einspruch und verfasst eine Aktennotiz über den Vorgang. In Zweifelsfällen entscheidet die Zentrale des Goethe-Instituts. Wird einem Einspruch stattgegeben, so gilt hinsichtlich der Prüfungsgebühren § 6.3.

§ 21 Einsichtnahme

Prüfungsteilnehmende können auf Antrag nach Bekanntgabe der Prüfungsergebnisse Einsicht in ihre Prüfung nehmen. Der Antrag beschränkt geschäftsfähiger Minderjähriger bedarf der Einwilligung des gesetzlichen Vertreters. Die Einsichtnahme muss in Begleitung des gesetzlichen Vertreters erfolgen.

§ 22 Verschwiegenheit

Die Mitglieder der Prüfungskommission bewahren über alle Prüfungsvorgänge und Prüfungsergebnisse gegenüber Dritten Stillschweigen.

§ 23 Geheimhaltung

Alle Prüfungsunterlagen sind vertraulich. Sie unterliegen der Geheimhaltungspflicht und werden unter Verschluss gehalten.

§ 24 Urheberrecht

Alle papierbasierten und digitalen Prüfungsmaterialien sind urheberrechtlich geschützt und werden nur in der Prüfung verwendet. Eine darüber hinausgehende Nutzung, insbesondere die Vervielfältigung und Verbreitung sowie öffentliche Zugänglichmachung dieser Materialien ist nur mit Zustimmung der Zentrale des Goethe-Instituts gestattet.

გამოცდის მსვლელობასთან დაკავშირებით რაიმე საკითხის გასაჩივრება შესაძლებელია გამოცდის მიმღები საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელობასთან, წერილობითი სახით უშუალოდ გამოცდის ჩაბარების შემდეგ, გამოცდაზე პასუხისმგებელი პირი აჯერებს მომჩივანი და მოპასუხე მხარეების პოზიციებს და ვითარების შესახებ სააქტო ჩანაწერს ადგენს. საექვო შემთხვევაში გადაწყვეტილებას დებულობს გოეთეს ინსტიტუტის სათაო ოფისი. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ძალაშია დებულების § 6.3 გამოცდის საფასურთან დაკავშირებით.

§ 21 საგამოცდო ნაშრომის გაცნობა

გამოცდის მონაწილეს, გამოცდის შედეგების გამოცხადების შემდეგ, შეუძლია გაეცნოს საგამოცდო ნაწერს, შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში. შეზღუდული უნარის მქონე მცირეწლოვანების შემთხვევაში საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ნაწერის გაცნობა უნდა მოხდეს კანონიერი წარმომადგენლის თანხლებით

§ 22 დუმილის უფლება

საგამოცდო კომისიის წევრები გამოცდის მსვლელობისა და შედეგების შესახებ ვალდებული არიან გამოიყენონ მესამე პირის მიმართ დუმილის უფლება.

§ 23 კონფიდენციალობა

ყველა სახის საგამოცდო მასალა კონფიდენციალურია. მასზე კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება და დალუქულ მდგომარეობაში ინახება.

§ 24 საავტორო უფლებები

ყველა ნაბეჭდი და ციფრული საგამოცდო მასალა დაცულია საავტორო უფლებებით და მათი გამოყენება დაშვებულია მხოლოდ გამოცდაზე. გამოცდის ფარგლებს გარეთ მათი გამოყენება, განსაკუთრებით გამრავლება და გავრცელება ან გასაჯაროება შესაძლებელია მხოლოდ გოეთეს ინსტიტუტის ცენტრალური ოფისის თანხმობის შემდეგ.

§ 25 Archivierung

Die papierbasierten und digitalen Prüfungsunterlagen der Prüfungsteilnehmenden werden 12 Monate, gerechnet vom Prüfungstermin an, unter Verschluss aufbewahrt und dann fachgerecht entsorgt bzw. gelöscht.

Das Dokument über das Gesamtergebnis bzw. das Ergebnis des jeweiligen Moduls wird 10 Jahre lang aufbewahrt und dann fachgerecht entsorgt bzw. gelöscht.

§ 26 Qualitätssicherung

Die gleichbleibend hohe Qualität der Prüfungsdurchführung wird durch regelmäßige Kontrollen der schriftlichen und mündlichen Prüfung im Rahmen von Hospitationen sowie durch Einsichtnahme in die Prüfungsunterlagen sichergestellt. Der/Die Prüfungsteilnehmende erklärt sich damit einverstanden.

§ 27 Datenschutz

Alle an der Durchführung der Prüfung Beteiligten sind zur Geheimhaltung und zur Einhaltung der anwendbaren Datenschutz-Vorschriften verpflichtet. Das Goethe-Institut darf auf Anfrage von öffentlichen Behörden im Fall des begründeten Verdachts der Fälschung eines Goethe-Zertifikats die Echtheit des Goethe-Zertifikats bestätigen oder widerlegen.

§ 28 Schlussbestimmungen

Diese *Prüfungsordnung* tritt am 1. September 2020 in Kraft und gilt für Prüfungsteilnehmende, deren Prüfung nach dem 1. September 2020 stattfindet.

Im Falle von sprachlichen Unstimmigkeiten zwischen den einzelnen Sprachversionen der *Prüfungsordnung* ist für den unstimmigen Teil die deutsche Fassung maßgeblich.

§ 25 დაარქივება

გამოცდის მონაწილეთა ნაბეჭდი და ციფრული საგამოცდო მასალა გამოცდის ჩატარებიდან 12 თვის განმავლობაში

დალუქულ მდგომარეობაში ინახება საგამოცდო ცენტრში. ამის შემდგომ პროფესიონალურად ნადგურდება ან იშლება.

გამოცდის საბოლოო შედეგები, ან ცალკეული მოდულის შედეგები გამოცდის ჩაბარებიდან 10 წლის განმავლობაში ინახება და შემდეგ განადგურებას ექვემდებარება ან იშლება.

§ 26 ხარისხის გარანტია

ზეპირი და წერიტი გამოცდების რეგულარული კონტროლი მათზე დასწრებით, ასევე საგამოცდო მასალის მუდმივი გადამოწმება უზრუნველყოფს გამოცდების სტაბილურად მაღალ ხარისხს. კანდიდატი (იხ. § 11) ეთანხმება ზემოთაღნიშნულ დადგენილებას.

§ 27 მონაცემთა ბაზის დაცვა

გამოცდის მსვლელობაში მონაწილე ყველა პირი ვალდებულია დაიცვას დუმილის უფლება და დაემორჩილოს მონაცემთა დაცვის შესახებ არსებულ კანონს. გოეთეს ინსტიტუტი უფლებამოსილია, საჯარო ინსტანციების მოთხოვნის შემთხვევაში, გოეთეს ინსტიტუტის სერტიფიკატის გაყალბების საფუძვლიანი ეჭვის გაჩენისას, გოეთეს ინსტიტუტის მოცემული სერტიფიკატის იდენტურობა დაადასტუროს ან უარყოს.

§ 28 საბოლოო დადგენილება

გამოცდის წინამდებარე დებულება ძალაში შედის 2020 წლის 1 სექტემბრიდან და ვრცელდება გამოცდის მონაწილეებზე, რომლებიც გამოცდას 2020 წლის 1 სექტემბრიდან ჩააბარებენ.

იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტექსტის თარგმანი სხვა ენაზე გაუგებრობის მიზეზი გახდება და შეუსაბამოდ მიიჩნევა, გადამწყვეტი როლი ტექსტის გერმანულ ვერსიას ენიჭება.

Legende zu Formatierungen:

VERSAL: Prüfungsnamen und Prüfungsteile (z. B. GOETHE-ZERTIFIKAT B1)

kursiv: Dokumentenbezeichnungen, Eigennamen, Verweise (z. B. *Protokoll über die Durchführung der Prüfung*)